გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ სოფელ კუმისში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსი №383

საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. გარდაბანი 3 აპრილი, 2012 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ხანახმედ გარიბოვი – სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;
მანუჩარ ჯოხაძე- კომისიის წევრი;
ნიკოლოზ დუნიძე – კომისიის წევრი;
ნოდარ ბერუაშვილი – კომისიის წევრი;
რამაზ ბუდაღაშვილი – კომისიის წევრი;
ოთარ გავაშელიშვილი – კომისიის წევრი;
აზა ონიანი – კომისიის წევრი;

დღის წესრიგი:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ სოფელ კუმისში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების შესყიდვის კონკურსი №383 დოკუმენტაციის განხილვა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის ნიკოლოზ დუნიძის გამოსვლა, რომელმაც კომისიის სხდომის დამსწრე წევრებს მოახსენა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ სოფელ კუმისში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №383 კონკურსზე საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ორმა მონაწილემ:

1. შპს „პროექტი", საკონკურსო წინადადების ფასი 2500 ლარი, 2012 წლის 26 მარტს 13:20 საათზე..
2. შპს „ჯეოონო", საკონკურსო წინადადების ფასი 2820 ლარი, 2012 წლის 26 მარტს 12:20 საათზე.

განხილვა:

კონკურსში მონაწილე ყველაზე დაბალი ფასის მქონე კონკურსანტმა შპს „პროექტ"-მა ხარვეზით წარმოადგინა საკონკურსო დოკუმენტაცია. კერძოდ: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №3 კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც არ არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №3 კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე მოხდეს შპს „პროექტი"-ს დისკვალიფიკაცია.

კონკურსში მონაწილე მომდევნო ფასის კონკურსანტის შპს „ჯეოონო"-ს მიერ ასევე ხარვეზით იქნა წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია. კერძოდ: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №3 კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც შეცდომით არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი, ნაცვლად 226573204-ისა მითითებულია 226573024. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №3 კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე მოხდეს შპს „ჯეოონო"-ს დისკვალიფიკაცია.

კომისიამ დაადგინა:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №3 კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე მოხდეს შპს „პროექტი"-ს დისკვალიფიკაცია, ვინაიდან კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტში არ არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი.
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №3 კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე მოხდეს შპს „ჯეოონო"-ს დისკვალიფიკაცია, ვინაიდან კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტში შეცდომით არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი, ნაცვლად 226573204-ისა მითითებულია 226573024.
3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ სოფელ კუმისში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების შესყიდვის კონკურსი №383 გამოცხადდეს დასრულებული უარყოფითი შედეგით, ვინაიდან კონკურში მონაწილე ორმა კონკურსანტმა მიიღო დისკვალიფიკაცია.
4. აღნიშნული საკონკურსო კომისიის ოქმი გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@procurement.gov.ge –ის მეშვეობით, რათა კონკურსს მიენიჭოს სტატუსი „კონკურსი დასრულებულია უარყოფითი შედეგით"

კომისიის თავმჯდომარე: ხანახმედ გარიბოვი

კომისიის წევრები: მანუჩარ ჯოხაძე

ნიკოლოზ დუჩიძე

აზა ონიანი

ნოდარ ბერუაშვილი

რამაზ ბუდაღაშვილი

ოთარ გავაშელიშვილი